უნივერსალური ხდებოდა. უნდა ისიც მხედველობაში მივიღოთ, რომ ქართულ ნიადაგზე ერთნაირი შემოქმედებით გაჰყვანდა პატრონობდა როგორც მუსლიმანური, ისე ქრისტიანული კულტურა. დღევანდელ ახალ დროშდის ვერ მიუთითებთ ისეთ მეორე მაგალითზე, ქართულთან შედარებით, იმ ენათა რიცხვის მიხედვით, რომლიდანაც ითარგმნებოდა მრავალი სალიტერატურო ძეგლები: ქართულ ენაზე სთარგმნიდნენ ბერძნულით, სომხურით, სირიულით, არაბულით, სპარსულით, თურქულით და სხ.

„ქართულ ცოცხალ ენის გამოსახულობის უნივერსალობა ძლიერდებოდა თვისებებით, რომელიც მემკვიდრეობით ეთვისებოდა ქართულ ენას კავკასიის საზოგადოებრივობის იარაღის როლში მის წინამდგომ ადგილობრივ ენებით, იგივე უნივერსალობა ძლიერდებოდა შეთვისებით ან გადმოღებით კავკასიის უძველესი გვიანი ენებისგან, რომელნიც ნაწილობრივად თამაშობდნენ საზოგადოებრივ ენის როლს". (იქვე გვ. 16).

„ამგვარად—ამბობს პროფესორი ნიკო მარი—ქართული ენა ცოცხალიცაა, თანამედროვეც, არა მარტო სავსებით ჩამოყალიბებული სალიტერატურო ეროვნული ენა, არამედ მასთანვე მდიდარიც ნაანდერძევათ კულტურულ-განვითარებული, ათვისებით უნივერსალური, ერთიანი საზომით საერთაშორისო კავკასიის ფარგლებში, და ქართველ მოსახლეობის მდაბიო ნაწილებისათვის სავსებით მისაწდომი, დემოკრატიული... (იქვე გვ. 18).

ეს არის მთავარი აზრი, რომელსაც ატარებს ნ. მარრი და მთელი ბროშურის სივრცეზე სცდილობს ამ აზრის გამართლებას სათანადო მეცნიერული მოსაზრებებით და საბუთებით.

ჩვენ შევეცადეთ მოკლედ გადმოგვეცა ცნობილი პროფესორის აზრი ქართული ენის და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ. მარრის დებულებები მრავალ საყურადღებო ხაზებს შეიცავს და მასთანვე მეცნიერულად ასაბუთებს ამიერ-კავკასიაში ქართული ენის უპირატესობას. ეს საკითხი პრობლემატიურია და საჭიროა ჩვენი უნივერსიტეტის სპეციალისტები გამოეხმაურონ.

ხოხო ახლანიშვილი.

## სამეურნეო ბანკი

(საზოგადოების საყურადღებოდ).

თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვისა, ამ დღეებში ტფილისში გაიხსნება სამეურნეო ბანკი, რომელსაც თავისი 27 წლის ისტორია აქვს. თავისთავად ცხადია ბანკის ფაქტიურ ამუშავებისათვის, მთავრობის ნებართვასთან ერთად საჭირო იყო ბევრი სხვა პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა და მოგვარებაც, რომლის სისრულეში მოყვანის დროსაც ალბად ბევრ დაბრკოლებებს ექნება ადგილი; მაგრამ ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ყველა ეს დაბრკოლებანი გადალახულ იქნება და, როგორც გამოცხადებული იყო გაზეთებში, 22 ოქტომბრისათვის იქნება მოწვეული საზოგადო კრება, რომლის შემდეგაც ბანკი დაიწყებს თავის ოპერაციებს. ყველასათვის ცხადია, თუ რაგორ მძიმე პირობებში უხდება ბანკს თავის მუშაობის განახლება, მაგრამ ვინაიდან დიდ დახმარებას უწევს სახელმწიფოს ორგანოები, როგორც მაგალითად: საფინანსო კომისარიატი, რომლის განკარგულებითაც ბანკს უბრუნდება თავისი ძველი ქონება, ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის დადგენილებითაც ბანკს უბრუნდება თავისი ძველი ბინა, ჩვენ გამოვსთქვამთ სრულ იმედს, რომ ბანკის საბჭო დახმარე კომისიების საშუალებით ერთად შეძლებს ამ საქმის საბოლოოდ დაგვირგვინებას.

ვინაიდან, ბანკის საბჭოს ძველ წევრებს შორის ამ ჟამად ფაქტიურად მუშაობენ მხოლოდ ბბ. ვ. ყიფიანი დ. ხოლოყაშვილი და გამგეობის წევრი, ტერუაშვილი, ამიტომ საქმის სისწრაფით მოგვარებისათვის შემდგარია ცალკე საორგანიზაციო კომიტეტი, სადაც მოწვეული არიან: პ. გოთუა, გრ. ლორთქიფანიძე, ი. მიქაძე, ალ. კუპუნიძე და მ. ლალიძე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზოგადოებაც მეტის ნდობით და სიმპატიით ეპყრობა ბანკის მოწესრიგების საქმეს; ერთ-ერთ საერთო კრებაზე ამოირჩიეს თავის შორის საროიონო კომისიები, რომლებსაც დაევალა მოაგროვონ საწევრო ფულები. უკანასკნელ ვადათ საწევრო ფულის შემოტანისა დანიშნულია 10, 11 და 12 ოქტომბერი.

სარაიონო კომისიებში არჩეულია შემდეგი პირნი:

1 რაიონში ი. ბერძნიშვილი, ნ. ზაალიშვილი, გ. მაჭავარიანი, ვ. ბაგრატიონ-დავითიშვილი.

2 რაიონში—მ. ლალიძე, ნ. უგულავა, ოდილავაძე და კ. ზაქრაძე.

3 და 4 ი. ლომაძე, ნ. ლომიძე, ქ. ფარცხალაძე, ჯუმუხაძე და ზ. გულიაშვილი.

5 ი. ჩორგოლაშვილი.

6 და 7 ი. სულთანიშვილი, ი. იოკაშვილი, ა. დოლაბერიძე და წვერავა.

8 და 9 ა. ნეფარიძე და ალ. კუპუნიძე.

10, 11 და 12. თოიძე, კ. ინაშვილი და ალ. ნატროშვილი.

დასასრულ გამოვთქვამთ სურვილს, რომ სარაიონო კომისიის წევრებმა გამოიჩინონ მეტი ენერგია და უნარი, რათა 12 ოქტომბრისთვის იქნას შეგროვილი საჭირო თანხა ბანკის მუშაობის დასაწყებად.

№.

# მოწერილი ამბები

### კახეთი

ძნელად იპოვით იმისთანა მდიდარ და ბუნებით შეუბალ მხარეს, როგორიც კახეთია. რომ იტყვიან კუთხეული ალაგია—კახეთი სწორედ ის არის. ჩვენ აქ არ შევუდგებით კახეთის მომჯადოებელ ბუნების სილამაზის აღწერას. კახეთის ბუნების აღწერა, მარტო ერთი დიდებული ალაზნის ველის პანორამის ხილვა საკმაოა კახეთის მშვენიერების ნათელსაყოფად.

მაგრამ კახეთს თავისი ზღაპრული ბუნების მიმზიდველობის გარდა აქვს კიდევ ბევრი რამ. ეს არის მისი ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის გამო ათასი ჯურის ხალხი ეხვევა კახეთს, როგორც თაფლს ფუტკარი.

კახეთი ერთი მხრით თუ ბუნებით მდიდარია, მეორე მხრით თითქმის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეზე სწავლა-განათლებით შესამჩნევათ დაქვეითებულია. კახელ ხალხის ცხოვრება პირველ ყოფილ დროის ცხოვრებას მოგვაგონებს. რასაკვირველია, არა სიღარიბით. სიღარიბეს კახეთში ადგილი არა აქვს. კახეთის გლეხკაცი შეძლებული ადამიანია: ვენახი-ბაღი, სახნავი, საქონელი ბევრს იმდენი ჰყავს, რომ მისი ქონება მიდიარდამდისაც ადემატება შეძლებულ კახელ გლეხკაცს წლის სარჩო მოდის იმდენი, რომ სხვა ჩვენ კუთხეში იქნება ოცან ორმოცკომლს არ მოუვიდეს. ზოგს ყოველ წლივ ორმოცი „ბოჩკა" ღვინო მოსდის, ასი კოდი პური, ამდენივე სიმინდი, ეხლა აუარებელი კართოფილი, ლობიო, ყველი, ერბო, მაგრამ ყოველივე ამას კახელ კაცისთვის ფასი არა აქვს. კახეთს როგორც ქორები თავს დასტრიალებენ ათასი ჯურის სპეკულიანტი. თვით უხერხული და დაბეჩავებული კახელი თავის მოსავალს ვერ ანიჭებს და წყლის ფასად ყიდის ყოველივეს. ამის შედეგი კი არის, რომ კახელს რაც გინდა ბევრი მოსავალი მოუვიდეს ის მაინც გლახასავით დაგლეჯილი დადის და დაგლეჯილი ტანისამოსით დაყავს ცოლშვილიც. სწავლის შესახებაც სრულიად არ ზრუნავს კახელი. „მე რომ ჩემი შვილი სკოლაში მივცე, ტყეში ვინ წავა, შეშას ვინ მომიტანს, ვინ დაბარავს" გეტყვის კახელი. იმას ისე გონია თითქოს სწავლა დაუშლის ადამიანს მუშაობას და ნასწავლი კაცი უფრო მოხერხებით და ჭკუით არ მოიქცევა. „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს გასტანჯავს წუთი სოფელიო" სთქვა პოეტმა, მაგრამ წუთი სოფლის ზრუნვისათვის კახელი თავს არ იწუხებს.

რაც შეეხება ნასწავლ კაცს კახელი მას ძალიან ცუდად უყურებს და ნასწავლ კაცზე ცუდი წარმოდგენა აქვს.

„რას წარმოადგენს ნასწავლი ადამიანი, ქვეყნის ამომგდებები არიან და სხვა არაფერიო, მე თუ სწავლა არა მაქვს, სწორეთ ეხლა მშიერ „ჩინოვნიკთან" დავედარებითო" ასე მასხარათ და მტრულად უყურებს კახელი ნასწავლ ხალხს და არც ფიქრობს, რომ ნასწავლ ხალხიდან რამე გადმოსდის.

კახეთში არის სკოლებიც მაგრამ ეს პირველ დაწყებითი საფეხურიან სკოლებს ვერ გასცდებიან და იქიდან გამოდიან მხოლოდ ანბანის მცოდნენი, რომელნიც გაჭირვებით თუ შეეძლებათ წერილის მიწერა. საჭიროა ზოგიერთ დიდ დაბა-სოფლებში გაიხსნას საშუალო ტიპის სკოლები, კახელებმა თავიანთ შვილებს მაინც მიაღებინონ სწავლა, რომ მომავალში ახალი თაობაც გაუნათლებელი არ იყოს. ამის შესახებ უნდა იზრუნოს ჩვენმა მთავრობამაც და თვით კახელებმა.

კახეთი მდიდარი ქვეყანაა და იგი მანამდის არ აყვავდება ვიდრე განათლების სხივები არ შეიჭრება, ვიდრე კულტურულად ფეხს წინ არ წასდგამს ხალხი.

წელს მოსავალი როგორც პურის ისე ღვინის კარგი არის. ეხლა ღვინო მაჭარებათ და ტკბილებად იყიდება. საპანე ტკბილი ეხლავე იყიდება შვიდ მილიონად. ასე რომ ღვინოები სამ ნუ წავა ხუთმეტ მილიონამდის. ამინდები რთველში კარგი იყო. რთველები თითქმის ყველგან გათავდა და გლეხი მალე მინდორში გუთანსაც გაიტანს.

იქაური

# თეატრი და ხელოვნება

**ვინ არის დამნაშავე ყვირილას სცენაზე.**

კვირას, სექტემბრის 30-ს ქალაქ ყვირილაში ტფილისის ქართულ თეატრის მსახიობთა: ქ-ნ ცაცა ამირეჯიბის და ბ-ნ ლამბაშიძის, ჩხეიძის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ნ. ნაკაშიძის ცნობილი დრამა: ვინ არის დამნაშავე.

ამ პიესამ ტფილისის სცენაზე გასულ სეზონში მიიქცია ყურადღება, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთი კუთხის ცხოვრების სარკემ.

პიესა ნიჭიერად არის დაწერილი და ერთ-ერთ პიესად შეიძლება ჩაითვალოს გურიის ცხოვრებიდან, რომელშიც მოცემულია გურია თავისი დამახასიათებელი ტიპებით. პიესის მთავარი კვანძი—ავტორს გაუხსნელი აქვს—წამოყენებულია საკითხები მხოლოდ, ხოლო მისი ახსნა-განმარტება ყოველი ტიპია— მათი კარგი თუ ავი მხარეების შეფასებაში არ შედის ავტორი—ნაჩვენებია სახეები ისე, როგორც სინამდვილეში არის. ბოროტება, სიკეთე, გულუბრყვილობა, სიცრუე, ცოდვა, შეცდომა, თუ სხვა რამეც აქ სჩანს, არის ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი მხარეები და ავტორიც მათი დახატვის შემდეგ სდუმს და საკითხს სვამს: ვინ არის დამნაშავე?

ჩვენ რასაკვირველია აქ ვერ მივცემთ პასუხს ვერც ავტორს და ვერც მკითხველს, თუ ვინ არის დამნაშავე ამ პიესაში, ხოლო იმას კი ვიტყვით, რომ დამნაშავენი არიან ის მსახიობნი, რომელთაც ეს პიესა ყვირილას სცენაზე დასდგეს. უნდა აღინიშნოს, რომ ფრიად დაეცა სასცენო ხელოვნება უკანასკნელ მატერიალურ კრიზისების ზეგავლენით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთ დროს არ დასულა ასე დაბლობამდე ეს დარგი?

რას არ შეხვდებით დღეს პროვინციის სცენებზე, იმ მიზნით დადგმულს, რომ მხოლოდ შემოსავალით გამართლებულ იქნას იგი, არშინ მალ-ალანი და მზგავსი პიესები ხომ გადაიქცა ჩვენი ზოგიერთ დაბნეულ მსახიობების შემოსავალ წყაროთ და მას მიჰყვნენ სხვებიც.

რაც შეეხება „ვინ არის დამნაშავეს" დადგმას—უნდა ითქვას, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი ყვირილას სცენაზე დადგმა მარტო იმიტომ, რომ ეს პიესა წმინდა გურული იერისაა. აქ ყველა მოქმედი ტიპები გურულია—უნდა იქნეს დაცული ეტნოგრაფიულ ხაზებთან ერთად ტიპიური ელემენტი. ეს არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო. აბა სად შეუძლია ყვირილაში აღზრდილ სცენის მოყვარეს მთავარი გმირი ქალის—სალიხეს როლის შესრულება. ან და ის დადგმა, რაც ჩვენ ვიხილეთ, გამოხატავდა პიესის შინაარს? რათ აწამეს ნიჭიერი მსახიობი ქალი ცაცა ამირაჯიბი მისთვის შეუფერებელ როლის თამაშით. ლამბაშიძემ უნდა იცოდეს, რომ მას არ გამოადგება ყველა როლებში გამოსვლა და ნახევრად იმერულ-გურულ კარგოვით. გერგილაძის გამართლება. ეს არც გურული იყო, არც იმერელი, არც ქორელოლიანის მიერ დახატული გერგილაძე, მაგრამ ამაოდ ჩავარდება სასაცილო მდგომარეობაში. უშანგი ჩხეიძემ გამოისყიდა ყველას ცოდვები უკანასკნელი 2 მოქმედებით ეს მსახიობი ამ როლში შესაფერისია, მართალია გურულის დამახასიათებელი მანერები მასაც აკლდა, მაგრამ როგორც მსახიობი იგი დამაკმაყოფილებელი გამოდგა სიკოის აღშფოთებულ სულიერ ტრაგედიის გადმოცემაში. აქ მსახიობი თავის თავთან იყო და არც ერთი ყალბი ხაზი არ ჰქონდა. მისი ტემპერამენტიდა სიკოცხლე, გარეგნობა და თავისი სრული გამოხატვა იყო ტიპის, რომელიც გადამჭრელია ნორმალური ბის საზღვარს და მიდის ... გაგიჟებამდე.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ არ გამეორდეს პიესის ასეთი შეუფერებელი დადგმა და მეტი ყურადღებით და პატივისცემით მოექცნენ ხელოვნების მსახურნი პროვინციის სცენას.

ბ. ნ.

# მიწერილობა

**განათლების კომისარიატში.**

ბინის საკითხი. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო განყოფილების დადგენილება, ბინის ნორმის შესახებ, ვრცელდება სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებულ ბინებში მცხოვრებ მოსამსახურეებზე.

ამ დადგენილების მიხედვით, ოჯახის თვითეულ წევრზედ ნავარაუდევია 25 ოთხკ. არშინი; გარდა სასწავლებლის გამგის, როგორც პასუხისმგებელ მოსამსახურეს, უნდა მიეცეს ერთი ზედმეტი ოთახი სამეცადინოთ.

**ტფილისის ყველა გამგეებს განათლების კომისარიატმა გაუგზავნა შემდეგი ცირკულიარი.**

გთხოვთ რაც შეიძლება საჩქაროთ მოგვაწოდოთ შემდეგი ცნობები:

1) ტეხნიკუმის პირადი შემადგენლობის სია (თანამშრომლებისაც) შემდეგი ცნობების აღნიშვნით: ა) სტაჟი, ბ) ცენზი, გ) რა საგანსასწავლის, დ) რამდენი გაკვეთილი აქვს კვირაში.

2) მოწაფეთა რიცხვი თითოეულ კლასში განმეორებითი გამოცდების გათავების შემდეგ; უნდა აღინიშნოს რამდენი მოწაფეა ძირითადი კლასში და რამდენი პარალელში.

**განათლების განყოფილების გამგეებს, გაეგზავნა შემდეგი ცირკულიარი.** საერთოთ მიღებულ წესის მიხედვით, ტეხნიკუმების გამგეთა დანიშვნა, გადაყენება, ან ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადაყვანა უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ განათლების კომისარიატის მიერ განხილვის და დამტკიცების შემდეგ. ნამდვილად კი ამ ბოლო დროს არა იშვიათია ისეთი მოვლენა, როცა ინიშნება გამგე ამა თუ იმ ტეხნიკუმში, ან გადაყვანილია ერთი სასწავლებლიდან მეორეში—კომისარიატმა კი არაფერი იცის და მხოლოდ შემთხვევით იტყობს მომხდარ ცვლილებათა შესახებ. ამასთანავე ერთად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, რომ გამგის თანამდებობაზე დაშვებული არიან საშუალო განათლების ცენზიანი პირნი, რაიცა კომისარიატის მიერ ყოვლად მიუღებელია.

რომ მომავალში მაინც არ ექნეს ადგილი ყველა ზემოდ ჩამოთვლილ არა სასურველ მოვლენათა, ს. კომისარიატი გთხოვთ მიიღოთ სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად შემდეგი:

1) კანდიდატი გამგის თანამდებობაზე უნდა წარმოდგენილ იქნეს კომისარიატში; სანამ იგი ამ უკანასკნელის მიერ არ იქნება დამტკიცებული თანამდებობაზე, მანამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

2) გამგის გადაყენება, ან ერთი ტეხნიკუმიდან მეორეში გადაყვანა უნდა ხდებოდეს იმავე წესით, ი. კომისარიატის მიერ დამტკიცებით და

3) გამგის კანდიდატი უნდა იყოს უმაღლეს სწავლა დამთავრებული და, რამდენათაც შეიძლება, პედაგოგიური სტაჟის ცენზიანი პირი.

**განათლების განყოფილების გამგეებს გაეგზავნათ შემდეგი ცირკულიარი.**

ტეხნიკუმებში უკვე ადგილი აქვს ისეთს შემთხვევებს, რომ შრომის სკოლებში სწავლა დამთავრებულნი აძლევენ კურს დამთავრების მოწმობებს ზოგ ზოგ საგნებში არა საკმაოდ დამაკმაყოფილებელ ნიშნებით და თხოულობენ მიღებულ იქმნენ ტეხნიკუმებში, ამიტომ ს. გ. კომისარიატი გთხოვთ გასცეთ განკარგულება ტეხნიკუმების გამგეებს, რომ მათ მიიღონ ტეხნიკუმებში ასეთი მოწაფეები იმ აუცილებელ პირობით, რომ ორი თვის განმავლობაში ჩააბარონ კოლოკვიუმები იმ საგნებში, რომლებშიაც მათ სუსტი ნიშნები აქვთ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

## განცხადება

ამით ქალაქის აღმასკომის

**საადგილ-მამულო განყოფილება**

აცხადებს ყველა დაინტერესებულ მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ

**ბალ-ბოსტნები,** რომელთაც **საიჯარო გადასახადი** შემოტანილი არ ექნებათ **საადგილ-მამულო განყოფილებაში**

(ოთ. № 52) ა/წ. 15 ოქტომბრამდე, ჩამოერთმევათ დღევანდელ მფლობელთ და გადაეცემა სხვაზე იჯარით.

2053—3—1

## პირველ ხარისხოვანი სასტუმრო „ორიანტი"

ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.

საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი. სასტუმროსთან რესტორანი

ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო

**მზარეულთა ზედამხედველობით.**

საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 2—5 1/2 საათამდე.

10—1

ფასები დაკლებულია.

ტირაჟი 1000

საქართვ. უმაღ.მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტეინის ქუჩა.